1894 წელსა, № 5—6 1—30 მარტს.

მწყემსი

ოფიციალური გაზეთი.

მოწოდება.

მოწოდება მართლ-მადიდებელ ქრისტიანეთადმი

სიონისათვის არა დავდუმნე და იერუსალიმისათვის არა დავცადო (იხ. 62, 1).

ესრეთ სთქვა ძველისა ადთქმის მახარებელმან და ღვთისა წინასწარმეტყველმან ისაიამ. ძველისა აღთქმისა გამოჩინებულნი კაცნი, წინასწარმეტყველნი და მამათ—მთავარნი არ აცილებდნენ თვალთა იერუსალიმს და სიონს, რადგანაც იქიდგან მოელოდნენ ცხოვრებასა კაცთა ნათესავისასა.

მაშასადამე ჩვენ მართლ-მადიდებელთა ქრისტიანეთა მომეტებულად გვშვენის მივაქციოთ უურადღება და ვიზრუნოთ იერუსალიმისათვის და წმიდა ქვეყანისათვის, რადგანაც აღმოგვიბრწყინდა იქიდგან ჩვენ მზე სიმართლისა. იქ აქონობამდე არსებობს ნაზარეთი, სადაც ანგელოსმან უფლისამან პირველ გვაუწყა, რომ იშვება მაცხოვარი სულთა ჩვენთა. იქ არის ბეთლემი, სადაც აღსრულდა მიუწდომელი საიდუმლო შობა ღმერთ კაცისა, იქ არის მდინარე იორდანე, რომლისა ნაკადულში ნათელი იღო იესო ქრისტემ, იქ არის გოლგოთა, სადაც ჩვენისა ცხოვნებისათვის მიიღო მაცხოვარმან ჯვარსა ზედა სიკვდილი, იქ არის ადგილი, სადაც დასვენებული იყო გვამი უფლისა, იქ მაცხოვარი დიდებითა აღსდგა და ამაღლდა ზეცად. თუ კრძალულებით და სიყვარულით ვიარებით იმ ადგილებში, სადაცა ცხოვრობდნენ და იღვწიდნენ დიდნი ღვაწლით მოსილნი ღვთის მსახურნი, მით მომეტებულათ მოვალენი ვართ კრძალულებით ვიარებოდეთ და ვზრუნვიდეთ იმ ადგილებისათვის, რომლებიც განწმინდა თვისის ფერხთ შეხებითა და სვლითა წყარომან ცხოვრებისა და სიმართლისამან იესო ქრისტემან.

შემდგომ თვისის მოქცევისა და ნათლისღებისა ყოველთვის ახსოვდა მართლ-მადიდებელს რუსეთს ესე მოვალეობა და ქამითი ქამად წმიდა ადგილთა მომლოცველნი ლოცულობდნენ მართლ-მადიდებელისა რუსთა მეფისათვის და ყოველთა მართლ-მადიდებელთა ქრისტიანეთათვის. საშინელი იყო ღვაწლი და ტანჯვა, რომელსა დაითმენდნენ ქრისტეს სახელის გულისათვის იერუსალიმის გზაზედ მოგზაურნი თაყვანის საცემლად.

მაგრამ უფრო საშინელია ახლანდელი მდგომარეობა მართლ-მადიდებელთა, რომლებიც პირველიდგანვე სცხოვრობენ იერუსალიმში და საზოგადოდ წმიდა ქვეყანაში. ისინი იმყოფებიან სხვა სჯულის ხალხის უფლების ქვეშე და გარს ახვევიან კათოლიკენი და ლუტერანნი, რომლებსაც სხვა-და-სხვა ქვეყნიურის სიამოვნებითა მოჰყავთ ცთუნებაში მართლ-მადიდებელნი, რომ უარ ჰყონ თვისსა ერთსა მხოლო სამოციქულო ეკლესიასა. ათასი წელნი წარვიდნენ, რაც ისინი იტანჯებიან და ითმენენ, და სიღრმისაგან სულისა მიმართვენ და ეხვეწებიან უფალსა

და თვისთა თანამორწმუნეთა მართლ-მადიდებელთა რუსეთის სახელმწიფოში მყოფთა.

ნუ დარჩება მათი ვედრება ამაოდ და აუსრულებლად.

მართალია ყველას არ ეღირსება, რომ თაყვანისცეს ცხოველსმყოფელს საფლავს მაცხოვრისას, მაგრამ ყოველ სმართლ-მადიდებელს შეუძლიან გამოიჩინოს თავისი შემწეობა, თანაუგრძნოს როგორც თანამოძმეებს, მოგზაურებს წმიდა ადგილებში, ეგრეთვე იქ მყოფთა თანამორწმუნეთა ძმათა მართლმადიდებელთა ქრისტიანეთა.

ერთგული მზრუნველობა ყოველთა ამათთვის მიიღო უაგუსტესო ხელმწიფის ძმამ, დიდმა მთავარმა სერგეი ალექსანდრეს ძემ და მისვე უაგუსტესო თავმჯდომარეობის ქვეშე მყოფის იმპერატორებით მართლმადიდებელი პალესტინის საზოგადოებისა. ეს საზოგადოება კურთხევითა და ნებართვითა უწმიდესი სინოდისათა მოიქცევა ამ მოწოდებითა და გთხოვთ ყველას—შეეწიოთ და ხელი გაუმართოთ მართლ-მადიდებელთა, რომლებიც იერუსალიმში და წმიდა ქვეყანაში იმყოფებიან. ნუ შებრკოლდებით შესაწირავის სიცოტავითა, მოიხსენეთ როგორ მიიღო მაცხოვარმან წვლილი ქვრივი დედაკაცისა. ყოველს გულით გადებულ შემწეობას, ლოცვითა და მადლობითა მიითვლიან, როგორც ჩვენი სახელმწიფოდგან წარსულნი (იერუსალიმში) მომლოცველნი, ეგრეთვე თანამორწმუნენი, პალესტინაში მცხოვრებნი ახლოს ცხოველმყოფელისა საფლავისა იესო ქრისტესისა, რომელმანცა მოგვანიჭა ცხოვრება საუკუნო.

რჩევა იმპერატორებითი მართლ-მადიდებელი პალესტინის საზოგადოებისა მოიქცევა ამა თხოვნით ყოველ მართლმადიდებელისა ქრისტიანინისადმი და გულით სთხოვს მთელს რუსეთის სამღვდელოებას გამოუჩინოს თვისი გულითადი თანაგრძნობა საზოგადოებას და დროით შთაგონოს თავის მრევლთა და სულიერთა შვილთა შესახებ ფულის მოგროებისა და მოიზიდონ მათი გული, რომ შეეწივნენ წმიდა ადგილებს ზ მყოფთა წმიდა ქვეყანაში მართლ-მადიდებელთა ქრისტიანეთა.

ქართლ-კახეთის ეპარქიის სამღვდელოებას.

იმ საქმეთაგან, რომელიც წარმოებაში იმყოფება რიგორც სინოდის კართლ-კახეთ-იმერეთის კანტორაში, ისე საქმესარსოს კანცელარიაში, აგრეთვე მ. ბლაღოხინოთ წლიურ ანგარიშიდგანა და წარსულს 1893 წელს ქართლ-კახეთის ეპარქიის ზოგიერთ სამრევლოს ჩემ მიერ დათვალიერებიდგან დანახულია, რომ ჩემდა რწმუნებულ ქართლ-კახეთის სამწყესოში ფრიად დაცემულია საწმუნოებრივ-ზნეობრივი მდგომარეობა. ერთის მხრივ ნათლად სჩანს მრევლის უმეტესობის მიერ არ ცოდნა ყოველდღე სახმარებელ ლოცვათა, მცნებათა და საზოგადოდ ეკლესიის აზრისა, თუნდ იმის შესახებაც არა ითქვასრა, რომ არა უწყიან ძირეულნი ჭეშმარიტებანი ქრისტეს მოძღვრებისა, მეორეს მხრივ—ფრიად გავრცელებულია მრავალ გვარი ცრუ-მორწმუნეობა და სხვანი, რომელთა მოკლენა მართლ-მადიდებელთა შორის სამწუხარო და არა-სასურველი.

რათა განკარგებულ იქმნას საწმუნოებრივ-ზნეობრივი მდგომარეობა ჩემდამო რწმუნებულ ქართლ-კახეთის ეპარქიის სამწესოსი, სამღვდელოების კრებულის წარსულ 1893 წლის 4 ოქტომბრის დადგენილობისა თანახმად, ჩემდამო რწმუნებულს სამღვდელოებას უბრძანეს მოკალეობად დაკვალისრებ ისლმძღვანელონ იმ ღონისძიებანით, რომელიც დანახულია უწმიდესის სინოდის 1886 წლის 28 მარტის მე-4 №-რისა, 1888 წლის 18 ოკტომბრის მე-11 №-რისა, 1892 წლის 21 დეკემბრის მე-9 №-რისა და სინოდის ქართლ-კახეთ-

იმერეთის 1893 წლის 16 თებერვლის—აპრილის ბრძანებებში და ამა ღონისძიებათა აღსასრულებლად ეპარქიის ყველა ეკკლესიაში შემდეგი წესი დაადგინა: ა, ყოველს კვირა-უქმე დღეს გარდაიხადონ ხოლმე სადღესასწაულო მწუხრის ლოცვანი, დაუკლებლივ წაკითხვითურთ, ხოლო როდესაც ამას დაასრულებენ და მოკლედ განუმარტავენ მრევლს აზრსა და გაუგებარს სიტყვასა, რომელსაც შეხვდებიან ამა თუ იმ ლოცვაში, უნდა შეასწავლონ ეს ლოცვა გარნასის საშუალებით, რისათვისაც მღვდელმა ხმა-მაღლა, გარკვევით უნდა წარმოსთქვას შესასწავლად ამორჩეული ლოცვა, ხოლო ხალხმა იმის შემდეგ განიმეოროს; ბ, ასწავლონ შეძლებისამებრ ყველა მრევლს, განსაკუთრებით კი იმათ, რომელნიც ამის გულითადს სურვილსა და ნიჭს გამოიჩენენ, ადრევე მათ მიერ შესწავლილ ლოცვათა და საეკკლესიო საგალობელთა გალობა, რომელიც წარმოითქმება ხოლმე საღმრთო წირვისა და მწუხრის ლოცვისა ცისკრითურთის დროს, შემდეგ; გ, შემოიღონ, კეთილწარმატების თანახმად, როდესაც მრევლი ლოცვებს შეისწავლის, ეკკლესიებში ღვთის-მსახურების გარეშე კითხვა და საუბარი მდაბიურ, ყველასათვის გასაგებს ენაზედ და ამასთან საერთოდ გალობა ლოცვებისა და საეკკლესიო საგალობლებისა, და დ, სინოდის ქართლ-კახეთ-იმერეთის დადგენილების თანახმად; რომელიც დაბეჭდილია 1891 წლის 1 აპრილის მე-3 ნომრის „საქართველოს საექსარხოსო სასულიერო მოამბე»-ში და ამა ნომრის ოფიციალურს ნაწილში, საეკკლესიო განსაკუთრებულს დავთარში აღნიშნონ ხოლმე როგორც დრო მღვდელთა მიერ მრევლის სწავლებისა, აგრეთვე საგანი სწავლებისა და საუბრისა.

ამა განკარგულების საფუძვლით აღსასრულებლად, ეპარქიის მამა ბლაღოჩინებმა, თავისის მხრივ, განსაკუთრებული ზრუნვა და მხნეობა უნდა გამოიჩინონ და თავის საბლაღოჩინოთა რევიზიის დროს გულ-მოდგინედ თვალყური ადევნონ სამრევლო მღვდელთა მიერ მრევლის სარწმუნოებრივ-ზნეობრივად აღზრდის საქმის წარმატებას და შემთხვევანი, როგორც განსაკუთრებულის ცდისა და გულ-მოდგინეობისა, ისე ამა მღვდელთა მიერ თავისის პირდაპირის მოვალეობის აღუსრულებლობისა, თავის დროზედ—წლიურ ანგარიშთა გარეშე—აუწყონ საეპარქიო მთავრობას მის მიერ ჯეროვან ღონისძიებათა მისაღებად.

საქართველოს ექსარხოსი, ქართლისა და კახეთის მთავარ ეპისკოპოსი ვლადიმირი.

«საქ. საექ. სასულ. მოამბე».

ისყიდებიან

დეკანოზი დავით ღამბაშიძისაგან შედგენილი და გამოცემული წიგნები:

თბილისში, ცენტრალურ და ბ. ხიდიკელის წიგნების მაღაზიებში, **ქუთაისში**—«მწყემსი»-ს რედაქციის სტამბაში და ძმ. ჭილაძეების და წერეთლის წიგნების მაღაზიებში და **ჩხარში**—თვით გამომცემელთან.

1) დარიგება საღმრთო სჯულის სწავლებაზედ, რომელიც უწმიდესი სინოდისაგან მოწონებულია როგორც სასწავლო საღმრთო სჯულისა საეკკლესიო-სამრევლო და სხვა პირველ დასაწყის სკოლებში—ფასი . . . . 30 კ.

2) იგივე **დარიგება საღმრთო სჯულის სწავლაზედ** რუსულს და ქართულს ენაზე ხმის ამაღლების ნიშნებით—ფასი . 50 კ

3) საქართველოს საეკკლესიო ისტორია ფასი უყდოთ . . . . 45 კ.

4) ქართული ლოცვანი, თვეთა მეტყველებით, ქორონიკონით და მართლმადიდებელი ეკკლ. უმთავრესი დღესასწაულების მოთხრობით. ამ ლოცვანში არის სრული სერობა, პარაკლისი ღვთის-მშობლისა და ზიარების ლოცვა—ფასი . . . . 30—

5) ახალი კარაბადინი—მეორე გამოცემა დამატებით, რომელიც განხილული, მოწონებული და ნება-დართულია კავკასიის საექიმო რჩევისაგან.—ფასი 1 მან.

6) მღვდელთათვის საიდუმლოების შესრულების დროს საჭირო სახელმძღვანელო წიგნი—ფასი ყდით . . . . 30 კ.

7) ახალი სასულიერო კონსისტორიათა წესდებულება.—ფასი ყდით . . 40 კ.

8) მცხეთის ტაძარი და წმიდა ნინო, ქართველთ განმანათლებელი,—ფასი . 25—

9) გელათის მონასტერი და ცხოვრების აღწერილობა მეფის დავით აღმაშენებლისა.—ფასი . . . . 25—

10) წმ. მოწამენი დავით და კონსტანტინე და მოწამეთის მონასტერი.—ფასი . 5—

ამისივე წიგნი რუსულად—ფასი . 10—

11) წმიდანი მღვდელ-მთავარნი: ვასილი დიდი, გრიგორი ღვთის-მეტყველი და იოანნე ოქროპირი, სურათებით—ფასი 5—

12) მირქმა უფლისა, სურათით.—ფასი . 2—

დიდ-მარხვის წინ, სურათით.—ფასი . 2—

13) ხარება ყოვლად წმიდა ღვთის-მშობლისა სურათით—ფასი . . 2—

14) ბზობა სურათით—ფასი . . . 2—

15) აღდგომა სურათით—ფასი . . 2—

16) პონტოელი პილატეს მეუღლის წერილი

17) თავის მეგობარ ქალთან ქრისტეს შესახებ 5—

18) მეფე სოლომონ ბრძენი სურათით—ფ. 5—

19) აღწერა წმ. მოც. სწორის დიდის მთავრის ვლადიმირისა . . 2—

20) წმიდა ნინა ქართველთ-განმანათლებელი . 2—

21) შიო-მღვიმის მონასტერი და ცხოვრების აღწერა ღირსისა მამისა ჩვენისა შიოსი სურათით—ფასი . . . . 5—

22) მიძინება ყოვლად წმიდა ღვთის-მშობლისა, სურათით—ფასი - . 2 კ.

23) ამაღლება პატიოსნისა და ცხოველ-მყოფელისა ჯვრისა უფლისა სურათით 2—

24) ღვთის-მშობლის დაბადება—სურათით 2—

25) ტაძრად მიყვანება ღვთის-მშობლისა 2—

26) ესთერი (დაბადებიდამ მოთხრობა) სურათით—ფასი . . . . 5—

27) წმ. მოწამე რაჟდენი—სურათით ფასი 5—

28) ისო ძისა ზირაქისა სურათით . . 5—

29) დაწყებითი გაკვეთილები საღმრთო სჯულის სწავლებაზე ფასი . . 15—

30) ცოცხალთა და გარდაცვალებულთა მოსახსენებელი კონდაკი (კარგის ყდით) 30—

31) დარიგება მხედველობის დაცვასა და თვალების მოვლაზე.—ფასი . . 10—

32) ანდრია-პირველ წოდებული ისტორიული პოემა აკაკისა.—ფასი . . 5—

33) თამარ მეფე—სურათით . . 5—

34) მეფე დავით III აღმაშენებელი . . 5—

ვინც ზემო აღნიშნულ წიგნებს გამოიწერს არა ნაკლებ ერთი თუმნისა, მას მანეთზე დაეთმობა 20 კ.

ვინც 2 კ. წიგნაკებს დაიბარებს არა ნაკლებ ასი ცალისა, ის ფოსტით გასაგზავნს არ იხდის.

ხატები და მხატრობანი.

მიღებულილია პატარა იაფ ფასიანი ფიცრის ხატები ორი და სამგოჯიანი—ფასი . . 20 კ.

ხატები არის: მაცხოვრის, ივერიის ღვთის-მშობლის, წმიდა გიორგისა, ანდრია მოციქულის პირველ-წოდებულისა და ათთორმეტთა დღე-სასწაულთა.

ვინც დაიბარეს ხატებს არა ნაკლებ ოცისა, იმათ ჩვენს საქართველოში ყველგან გაეგზავნება თითო ხატი აბაზათ და ფოსტის გასაგზავნიც არა გაცახდება რა.

ამასთან იმექონება სქელ ქაღადზე ნახატი წმინდა ნინას, საქართველოს განმანათლებელისა ვარაყით 8+7 გოჯიანი 20 კ.

ფოტო-ტიპით დახატული წმიდანი მთავარ-მოწამენი დავით და კონსტანტინე 6+5 გოჯიანი . . . . 5 კ.

ამავე ზომისა და ამისთანავე ნახატი წმიდა ნინა ქართველთ განმანათლებელისა 5 კ.

მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 5—6 **1883—1894** **26 მარტი**

შინაარსი: ოფიციალური ნაწილი. მოწოდება მართლ-მადიდებელ ქრისტიანეთადმი.—ქართლ-კახეთის სამღვდელოებას.

სალიტერატურო განყოფილება: უწმ. სინოდის ობერ-პროკურორის ამხანაგის ტაინი სოვეტ. ვლადიმერ კარლოსის ძის საბლერის მეორედ მობრძანება საქართველოში.—მისაბაძავი მაგალითი პედაგოგთათვის.—ჟურნალ-გაზეთთაგან.—მხატვრობა უავგუსტოესის სასიძოსი და სასძლოისა.—ახალი ამბები და შენიშვნები—მირქმა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.—საეჭვო კითხვების განმარტება.—სასარგებლო ცოდნა, დარიგება მეფუტკრეობის დაწყებისათვის.—რედაქციის პასუხი.

უწმიდ. სინოდის ობერ-პროკურორის ამხანაგის ტაინ. სოვ. ვლადიმერ კარლოსის ძის საბლერის მეორედ მობრძანება საქართველოში.

1886 წელს საქართველოში მობრძანდა მისი მაღალ აღმატებულება უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორი დეისტ. ტაინ. სოვეტ. კონსტანტინე პეტრეს ძე პობედონოსცევი და იმ დროს უწმიდესი სინოდის კანცელარიის მმართველად მყოფი ვლადიმერ კარლოსის ძე საბლერი.

სახელმწიფოის მორეულ მხარეებში უმაღლესი მთავრობის წარმომადგენელ პირთა მობრძანებას, ჩვენის აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მორეული მხარეებისათვის. ამიტომაც ამ ხსენებულ პირთა საქართველოში მობრძანების შესახებ ჩვენ მაშინვე განუზიარეთ ჩვენს მკითხველებს ზოგიერთი ჩვენი აზრი და მოფიქრება, რომელიც გამოიწვია ჩვენში ამ პირთა საქართველოში მობრძანებამ და რომლიდგანაც დღეს, როდესაც ჩვენს საქართველოში მეორედ ბრძანდება მისი აღმატებულება უწმ.

სინოდის ობერ-პროკურორის ამხანაგი ტაინ. სოვეტნიკი ვლადიმერ კარლის ძე საბლერი და უწმიდესი სინოდის ობერ-სეკრეტარი დ. ტ. ს. ა. ვ. გავრიილოვი, ჩვენ საჭიროდ ვრაცხთ მოვიყვანოთ ზოგიერთი ადგილი წიდაბეჭდილი სტატიიდამ:

ჯერ კიდევ ხუთასი წლის წინად, სანამ საქართველო მთლად შეუერთდებოდა რუსეთს, ქართველებს და რუსებს შორის სუფევდა ერთი ერთმანეთისადმი მისწრაფება სარწმუნოებისა ⁄ ეროვნული საზოგადო ინტერესებისა გამო. ამ ჩვენგან ნათქვამ სიტუვებს ამტკიცებს ისტორიული ფაქტები. საქართველოს გარე შემორტყმულნი მტრები —მაჰმადიანები, ეს დაუძინებელნი მტერნი ქრისტეს სარწმუნოებისა, თავის მტრობით კიდევ უფრო ხელს უწყობდნენ საქართველოს რუსეთთან შეერთების საქმეს. და აი 1801 წელს საქართველო დაბოლოებით უერთდება რუსეთს. აგერ მალე შესრულდება ერთი საუკუნე, რაც საქართველო მოსვენებულია გარეშე მტრებისაგან რუსეთის ძლიერ ⁄ თვით-მპყრობელი იმპერატორების მფარველობის ქვეშე.

იმისთანა შორეული მხარეების, როგორიც არის საქართველო, ყველა მოთხოვნილების და საჭიროების შეტყობა ძნელი და სამძიმო გასაგებია რუსეთის ვრცელი სახელმწიფოის უმაღლესი მთავრობის იმ პირთათვის, რომელთაც უნდა იზრუნონ ამ დაშორებულ ქვეყნების ხალხთა კეთილდღეობაზე. ამისათვის ყოველთვის დიდის სიხარულით მიეგებებიან, როდესაც უმაღლესი მთავრობის წარმომადგენელნი პირნი კეთილ ინებებენ ხოლმე რომელიმე ასეთ შორეული მხარეების დახედვას. ეს ბედი წილად ხვდა წელს საზოგადოდ კავკასიას და განსაკუთრებით საქართველოს... ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ ამისთანა მაღალ პირთა მოგზაურობა სახელმწიფოის შორეულ მხარეებში ყოველთვის მოხდება ხოლმე სხვა და სხვა კეთილი მიზნისა გამო და ამისათვის ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ზემო აღნიშნულ პირთა მოგზაურობა ჩვენს საქართველოში არ ჩაივლის უნაყოფოდ. მაგრამ არ ვფიქრობთ, რომ მისმა მაღალ აღმატებულებამ უწმიდ. სინოდის ობერ-პროკურორმა სასიამოვნო შთაბეჭდილება მიიღოს საქართველოს ეკლესიების და სასულიერო უწყების დახედვით, რომელიც, სასულიერო უწყება, ძლიერ სუსტად არის აღჭურვილი ეხლანდელი სარწმუნოების გულგრილობის და უზნეობის წინააღმდეგ. უმთავრეს იარაღს სამღვდელოებისას ამ შემთხვევაში შეადგენს სასულიერო განათლება. მაგრამ, სამწუხაროდ, უმეტესი ნაწილი ჩვენი სამღვდელოებისა მოკლებულია ამ განათლებას...

მართალია, ჩვენი ეხლანდელი სამღვდელოება განათლებით და ნივთიერად ბევრად წინა სდგას საქართველოს რუსეთთან შეერთების დროის სამღვდელოებასთან; მაგრამ ეხლა დრო შეიცვალა. სარწმუნოებრივ-ზნეობრივი მოთხოვნილება ჩვენი ხალხისა უწინდელს დროში არ ითხოვდა ისეთ ზრუნვას და განათლებას ჩვენი სამღვდელოებისაგან, რაც დღეს საჭირო არის. დღეს სამღვდელოებას ნიადაგ წინ ხვდება ახალი კითხვები, ახალი მოთხოვნილებანი და ამიტომ საჭირო ხდება ახალი ზომების გამონახვა ეხლანდელი დროის და ხალხის ახალი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

ერთად ერთ სასულიერო სემინარიას, მთელი საქართველოს ხეთი ეპარქიისათვის დაარსებულს, არ შეუძლია დააკმაყოფილოს მოთხოვნილება მთელი სამღვდელოებისა. სამღვდელოებას თავის უკიდურეს სიღარიბისა გამო არა თუ მეორე სემინარიის გახსნა შეუძლია, არამედ ჯერ-ჯერობით მთელს იმერეთის ეპარქიაში მეორე ოთხ-კლასიანი სასულიერო სასწავლებლის დაარსებაც კი ვერ მოუხერხებია. და ყველა ესენი, ჩვენის აზრით, შეუნიშნავათ არ დარჩება მის მაღალ აღმატებულებას. («მწყემსი» № 15 1886 წ.)

აი ამისათვის ასე აღტაცებით ეგებებიან საქართველოს მთელი მკვიდრნი და განსაკუთრებით სამღვდელოება მისი მაღალ აღმატებულების საქართველოში მობრძანებას.

სწორედ ამასვე ჰფიქრობდა და გრძნობდა მაშინ მთელი საქართველოს საეკლესიოს სამღვდელოება. განვლო მას აქეთ აგერ რვა წელიწადმა—და ჩვენ მხარეში ხელახლად მო-

ბრძანდენ უმაღლესი მთავრობის წარმომადგენელნი პირნი ფრიად საჭირო საქმეებისა გამო. რუსეთის გაზეთებმა გვაცნობეს, რომ ეს პირნი გამოემგზავრნენ საქართველოში, რათა რევიზია უყონ იმ დაწესებულებათ, რომელნიც ექვემდებარებიან უწმიდეს სინოდსო. მაგრამ, ჩვენის აზრით, ამ პირთა საქართველოში მობრძანება, უმთავრესად, გამოწვეულია, რომ უფრო გაძლიერებულ იქმნეს საქართველოში სასულიერო განათლება და უფრო უკეთესად მოეწყოს სასულიერო სწავლა-განათლების საქმე ჩვენს ქვეყანაში. საქართველოში მეორე სემინარიის გახსნის შესახებ აღძრული კითხვა იმდენად მომწიფდა, რომ უსათუოდ ითხოვს საქმით განხორციელებას. ჩვენ 1884 და 85 წლებში რამდენიმე წერილი დავბეჭდეთ ჩვენს გამოცემაში, რომლებშიაც, წერილებში, ვამტკიცებდით სასულიერო სემინარიის გახსნის საჭიროებას ქალაქ ქუთაისში—ᲓᲐ მთელი სამღვდელოებაც თავის მხრით არაფერს ზოგავდა ამ საქმისათვის. ამ საქმის დამწყები და მოთავე იყო მისი ეოვლად უსამღვდელოესობა იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი. სამღვდელოების დადგენილობით მომავალი სასულიერო სემინარიისათვის შეკრებილ იქმნა საკმაო ფული, მაგრამ ეს მშვენიერი დაწყებულება მაშინვე ვერ განხორციელდა. მაგრამ თვით ცხოვრებისაგან წამოყენებული საქმე თან-და-თან საგრძნობელი ხდებოდა და ითხოვდა განხორციელებას. და აი, უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორის ამხანაგის ვ. კ. საბლერის საქართველოში მობრძანების წყალობით, დასავლეთის საქართველოს სამღვდელოებას ქალაქ ქუთაისში უარსდება სასულიერო სემინარია ამ წლის სექტემბრის თთვიდამ. დღეიდგან მოისპობა ეოველივე ის დაბრკოლება და გაჭირვება, რასაც ითმენდენ თბილისში სემინარიის მოწაფენი დასავლეთის საქართველოდამ. თუ რა დიდი სასარგებლოა მეორე სემინარიის გახსნა სამღვდელოებისა და მთელი მხარისათვის, ამაზე ლაპარაკი საჭირო არ არის. როდესაც დასავლეთის საქართველოს სამღვდელოება დაინახავს, რომ მისი უგულითადესი სურვილი უკვე დააკმაეოფილა უმაღლესმა მთავრობამ, თავის მხრითაც დახმარებას აღმოუჩენს მთავრობას, რომ ეს ფრიად კეთილი საქმე სისრულით დაგვირგვინდეს. ღმერთმა ინებოს, მალე განხორციელებულიეოს ეს ფრიად მშვენიერი და კეთილი დაწყებულება უმაღლესი მთავრობისა საქართველოს მკვიდრთა საბედნიეროდ ᲓᲐ სასისარულოდ.

სასურველია, რომ ასეთნი პირნი, რომელნიც აღჭურვილნი არიან უმაღლესი უფლებით, ხშირად დახედავდნენ ხოლმე ჩვენს რუსეთიდამ მოშორებულ მხარეს, რადგან ამისთანა პირების მობრძანებას რაღაცა გამაცხოველებელი ძალა აქვს ეოველივე მხარისათვის. უ. უწ. სინოდის ობერ-პროკურორის ამხანაგი ვ. კ. საბლერი, თავისი დანიშნულების სიდიადის გარდა, თავისი მაღალის განათლებული და მოსიეეარულე პიროვნობით დაუვიწყარს შთაბეჭდილებას და მიმზიდველობას ახდენს ეველა მნახველზე, თვითონ გარეგანი შეხედულება ბ-ნ საბლერისა, რომელსაც ცხადად ასვია ზედ ბეჭედი მაღალის განათლებისა, გარწმუნებსთ, რომ მას გულითა სურს სიკეთე, ბედნიერება ᲓᲐ ეოველივე კეთილი ეველასათვის, რომელთა შესახებ ზრუნვა მას მინდობილი აქვს უმაღლესი მთავრობისაგან. ეოველივე ამას შენიშნავთ მასში პირველსავე შეხვედრის დროს და თქვენ დიდის სიეეარულით და პატივისცემით მიისწრაფით ამ პირისადმი... დიახ, ასეთი მიზიდულობა კაცისა—უმაღლესი ნიჭია ღვთისა, რომლითაც ძლიერ ცოტა მომაკვდავთ შეუძლიანთ იქონ თავი ქვეყანაზე...

დეკ. დ. ღამ—ძე.

მისაბაძავი მაგალითი პედაგოგთათვის.

მთაწმინდაში არის ერთი მეტად ვიწრო და ბინძური ქუჩა, სახელდობრ მთის მეორე ქუჩა, რომელზედაც ტალახი არა შრება თვით ივლისის პაპანაქებაშიაც და რომელიც ეტლებისათვის უვალია. წარსულ ოთხშაბათს, ნაშუადღევის მეხუთე საათზედ, ამ ქუჩის დასაწყისში გაჩერდა ორი ეტლი, საიდამაც გადმოვიდნენ სამნი: მაღალის ტანისა და მშვენიერის შეხედულების გვამი, ახლად შესული მოხუცებაში, რომელსაც ზედ აჯდა ბეჭედი მაღალის განათლებისა და აღზდისა, შუატანის გვამი, აგრეთვე მეტად სასიამოვნო სახისა, და ძლიერ მორცხვი სტუდენტი უნივერსიტეტისა. სწრაფად გაემგზავრნენ ამ ბინძურს ქუჩაზედ ზევით, სადაც ღრმა ტალახში კალოშები ეფლობოდათ, ავიდნენ მთაზედ. შევიდნენ რამდენსამე ქოხში, გასინჯეს კარგად და ფიცხლავ დაბრუნდნენ უკანვე.

ბევრნი ქუჩის მცხოვრებნი გამოვიდნენ გარედ და გაოცებით დაუწყეს მზერა ამ უნახველს სურათს. ვინ იყვნენ ისენი და რამ მოიყვანა აქა?

ესენი ბრძანდებოდნენ: სინოდის ობერ-პროკურორის ამხანაგი ტაინი სოვეტნიკი საბლერი. ობერ-სეკრეტარი დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი გავრიილოვი და ვაჟიშვილი პირველისა. რა უნდოდათ მინისტრსა და პეტერბუგელ გენერალს იმისთანა ადგილს, სადაც კოლეჟსკი რეგისტრატორიც-კი იშვიათად გაივლის ხოლმე და რიათვის სინჯავდნენ ქოხებსა?

წინა დღით ბ-ნის საბლერის ვაჟს გაესინჯა სადგურები სემინარიელებისა და მამისათვის მოეხსენებინა იმათი საშინელი უმზგავსობა. მამას მოენდომებინა თავისის თვალით ნახვა ამ ქოხებისა და თან წამოეყვანა თავისი ობერ-სეკრეტარიც. თუმცა ადგილი თითქმის მიუვალი დაუხვდათ, მაგრამ ესენი არ შეუშინდნენ არც ტალახს, არც ციცაბოს, არც ლიპს ბილიკებს და საკუთარის თვალით ჰნახეს ის, რაც უნდა ენახათ სემინარიის მოსწავლეების მდგომარეობის ზედ-მიწევნით შესატყობლად.

რა კარგი იქმნება, რომ ტფილელმა პედაგოგებმაც მიჰბაძონ ამ მშვენიერ მაგალითსა, მოსწავლეთა მდგომარეობას არ გასცქეროდნენ მდიდრად მორთულის კაბინეთიდგან და საკუთარის თვალით გასინჯონ ხოლმე, თუ სად და ვისთან სდგანან, ვინა ჰყავთ მეზობლად და რა საზოგადოება არტაიათ გარს. («ივერია»).

ძლიერ სასიამოვნო და სასიხარულოა ყველასთვის, რომ ეს პატივცემულნი და მადალ წოდების პირნი ახე დაწვლილებით იკვლევენ სასულიერო სასწავლებლების შაგირდების ყოფაცხოვრებას და მდგომარეობას არა თუ პანსიონში, არამედ გარეთაც. ამ შენიშვნიდამ ყველა იმ აზრს გამოიყვანს, ვითომც ადგილობითი სასწავლებლების უფროსნი ჯ მასწავლებელნი არ კითხულობდენ და არ აქცევდენ ყურადღებას გარეშე ბინაზე მცხოვრებ შაგირდების მდგომარეობას და ცხოვრებას. მაგრამ ეს აზრი «ივერია»-ისა სრულებით შემცდარია. ყველა სასწავლებლის უფროსებმა და მასწავლებლებმა, განსაკუთრებით ჩვენი სემინარიისამ ძლიერ კარგად იცის გარეშე ბინაზე მცხოვრებ თითოეულ შაგირდის მდგომარეობა ჯ ყოველთვის უცხადებს სამდვდელოებას და საზოგადოებას ამ გაჭირვებულ მათ მდგომარეობას, მაგრამ რა? მშობლები ნიადაგ თხოვილობენ სახელმწიფო ხარჯზე მათი შვილების მიღებას, ან ერთ დროებითი შემწეობას, მაგრამ თუ ფულები არ არის, საიდამ შეიძლება, რომ ყველა მთხოვნელი დააკმაყოფილონ? შეიძლება ის ფულები მისცენ, რასაც ხაზინა იძლევა და საზოგადოება შეიტანს. აბა ჰკითხეთ საზოგადოებას, რამდენი შეიტანა ფარიბ მოწაფეთა დასახმარებლად? ეს გაჭირვებული მდგომარეობა იმის ბრალი კი არ არის, რომ გარეშე მცხოვრებ შაგირდების ბინისა მასწავლებლებმა და მთავრობამ არა იცის რა. არა, ეს უმთავრესად ჩვენი სიღარიბის ბრალია. რა გაეწყობა! მაინც-და-მაინც სიღარიბემ არ უნდა გაგვაკვირვოს ჩვენ. ზოგიერთი შაგირდები იმნაირსავე სიღარიბეში არიან თავიანთ მშობლების ოჯახებშიაც და მაინც-და-მაინც შეუჩვეველნი არ არიან. ზოგან ჩვენი შაგირდების უმთავრესი საჭმელი ლობიო, მჭადი და ცოტა წყლიანი ღვინოა. როდესაც ამას ხედავს უცხო კაცი, ძლიერ უკვირს, რომ ამ საჭმლით ბავშვები არ იხოცებიან, მაგრამ ეს უსაფუძვლო შიშია. ამ შაგირდების უმთავრესი საჭმელი და საზრდო

უავგუსტოესნი სასიმო და სასმლო

მისი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე და მისი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავრინა კსენია ალექსანდრეს ასული.

ესევე საჭმელ-სასმელია მშობლების სახლშიაც და ამიტომ მათთვის ისე საშიში არ არის ეს სასმელ-საჭმელი, როგორც უცხო კაცს ეჩვენება. გამოიკვლიეთ ამისთანა ღარიბ შაგირდების ტანმრთელობა და მერმე თვალი გადაავლეთ გარგად მოწყობილ პანსიონებში მცხოვრებ მოწაფეთ და შეიტყობთ, რომ ჯანმრთელობით ღარიბელად მცხოვრები მოწაფენი სჯობიან მათ, რომელნიც ფეფუნებით სცხოვრებენ პანსიონებში. ჩვენის აზრით, უბედურება ის კი არ არის, რომ მრავალი მოწაფენი ძლიერ ღარიბათ სცხოვრებენ გარეშე სასწავლებლებისა, მაგრამ სწავლას მაინც ეტოვებიან, სიბნელისაგან სინათლისკენ მიდიან. არა; უბედურება ის იქნება, თუ ნება აღარ ექნათ მათ სასწავლებელში შესვლისა სიღარიბისა გამო... ჩვენის აზრით ეს უფრო მეტი უბედურება იქნება ყველა ღარიბი შაგირდისათვის და არა ის, რომ მარტო ლობიოს, ფხალას, მჭადსა და ღომს სჭამენ და ამაებით საზრდოობენ. ზოგიერთი პირნი კიდევ ვერ მიმხვდარან, რომ ლობიო ბევრად მარგებელია დამპალ თევზზედ, ძვირფას ხიზილალაზედ და წელაზედ!.. ვერ მიხვდენ კიდევ ზოგიერთები, რომ სიღარიბეში გაზრდილნი მოსწავლენი უფრო მხნე და მშრომელები არიან ცხოვრებაში იმ მოსწავლეებზე, რომელნიც ფეფუნებით ცხოვრებდენ

და ეტლებით დაბრძანდებოდენ სასწავლებელში.

ამ კითხვის დროს ჩვენ ზნეობითი მხარეს არ ვეხებით. ამაზე სიტყვას შემდეგ დროისთვის ვსდებთ.

დეკ. დ. ღამბაშიძე.

ჟურნალ-გაზეთთაგან.

როცა ჩვენ წარსულს წელში ქართლ-კახეთის ეპარქიის მთელი სამღვდელოების კრების მოქმედების აღწერას შეუდგებით, სხვათა შორის, მოვიხსენეთ, რომ სამღვდელოების მოქმედება და მსჯელობა კრებაზე შეუმჩნეველი რჩება საზოგადოებას. ჩვენის აზრით საჭიროა დაწვლილებით შეიტყოს საზოგადოებამ სამღვდელოების მოქმედება საზოგადოდ და კერძოდ მათდამი რწმუნებული სამწყსოის კეთილ-დღეობის შესახებ. საკმაო არ არის მარტო სალიერო სასწავლებლების შენახვის და კეთილგანწყობილების შესახებ შემდგარი ჟურნალების წაკითხვა. სამღვდელოების კრების ამავე ნაკლისათვის მიუქცევია ყურადღება სასულიერო ჟურნალს «Странникъ»-საც № 2, 1894 წ., რომელშიაც აღწერილია პოდოლის ეპარქიის ბლაღოჩინების კრების მოქმედება. ეს კრება სწორედ შესანიშნავი და სამაგალითოა თავის მოქმედებით და დადგენილობით. მოგვყავს ზოგიერთი დადგენილობა და მსჯელობა ამ ბლაღოჩინების კრებისა:

«ძლიერ საწუხარო და ცუდი ზედგავლენა აქვს საჩივრებს და ბეზღებითი წერილებს სამრეველოთა და სამღვდელოების ურთიერთ შორის კეთილ განწყობილებაზე. დღეს ძლიერ გახშირებულია საჩივრები და ბეზღებითი წერილები, როგორც მრევლთაგან საეკლესიო კრებულის წევრებზე, ისე ამ უკანასკნელთა შორის ერთი ერთმანეთზე. სამღვდელოების კრებას წინადადება მიეცა გამოენახა რაიმე ზომა, რომ მრევლნი მუდამ არ უჩიოდენ საეკლესიო კრებულის წევრთ და არც ეს უკანასკნელნი უჩიოდნენ ხოლმე ერთმანეთს. კრებას უნდა გამოენახა აგრეთვე რაიმე ზომა, რომ მოსპობილიყო სამღვდელოებათა შორის ცრუ ბეზღებითი წერილების წერა განსაკუთრებით პოლიტიკურ დამნაშაობის გამოგონება ვისმეზედ, მოსპობილიყო სამღვდელოებისაგან თხოვნების და საჩივრების წერა, ეპარქიის მთავრობის გარეშე, უწმ. სინოდის, უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორის, მთავარ-მართებლის, გუბერნიის უფროსის და სხვა საპატიო პირთა სახელობაზე. მ. მ. ბლაღოჩინებმა განაცხადეს: «თუ გვსურს, რომ

მრევლთა მხრით მოსპოს ყოველივე საჩივარი საეკლესიო კრებულის წევრთა ზედა, საჭიროა ეთხოვოს ეპარქიის მთავრობას, არ მიიღოს სამრევლოთაგან ისეთი საჩივრები სამღვდელოების შესახებ, რომელნიც დამოწმებულნი არ იქნებიან მათი მთავრობისაგან, მაგალითად სოფლის მამასახლისისგან; ხშირად მოხდება, რომ ეპარქიის მთავრობას მიდის საჩივარი მომჩივნისაგან ხელმოუწერელი და გამოძიების დროს მომჩივნები უარს აცხადებენ, რომ მათის თხოვნები არ დაუწერიათ. ეკლესიის კრებულის წევრთა საჩივრები ერთი-ერთმანეთზე ვინემ სასულიერო მთავრობას მიერთმეოდეს, დამოწმებული უნდა იქმნეს ბლაღოჩინისაგან, თუ ასეთი თხოვნების მიცემა ნება დაურთველია ბლაღოჩინო რჩევისგან; გარდა ამისა გარდახდეს მომჩივანთ 25 მანეთი გამოძიების ხარჯად. ის პირნი, რომელნიც აგზავნიან საჩივრებს ეპარქიის მთავრობის გარეშე, დაიშტრაფონ ფულით და როცა მათი ბეზღობითი წერილები აღმოჩნდებიან უსაფუძვლონი და ჭეშმარიტებას მოკლებულნი, მაშინ უფრო მომეტებულად იქმნენ დასჯილნი დამნაშავენი, მაგალითად, გადაყვანილ იქმნენ იგინი უფრო ნაკლებ ადგილებზე და ზოგჯერ სულ დათხოვნილ ადგილიდამ. რომ კონსისტორიაში შემცირდეს საქმის წარმოება სხვა-და-სხვა უბრალო საჩივრების გამო, კრებამ მიიღო კონსისტორიის ერთი წევრის შემდეგი წინადადება: არ იქმნეს მიღებული მრევლთაგან ისეთი საჩივრები ეკლესიის კრებულის წევრთა შესახებ, რომელ საჩივრებშიაც ნაჩვენები არ არის დრო, როცა რაიმე დამნაშაობა ჩადენა საეკლესიო კრებულის წევრმა» და სხვ...

სასურველია, რომ ჩვენმა სამღვდელოებამაც იხელმძღვანელოს ამ კრების დადგენილობით და ეცადოს გაავრცელოს ხალხში სარწმუნოებრივ-ზნეობრივი შინაარსის წიგნაკები, დაარსოს ძ მ ო ბ ა ეკლესიებთან, მოსპოს თვის შორის საჩივრები და ბეზღებითი წერილების წერა, ითხოვოს, რომ მომჩივანმა თავის საჩივართან ერთად უსათუოდ წარადგინოს, სადაც ჯერ არს, სასულიერო გამომეძიებელთათვის საჭირო გზის ფული.

ახალი ამბები და შენიშვნები.

მისი აღმატებულება სინოდის ობერ-პროკურორის ამხანაგი ტაინ. სოვ. ვლადიმერ კარლოსის ძე საბლერი და დეისტ. სტ. სოვ. ა. ვ. გავრილოვი 10 მარტს შეგრძანდენ ქუთაისის სასულიერო ოთხკლასიან სასწავლებელში სწავლის დროს, დაიარეს ყველა კლასები, ჰკითხავდნენ მოწაფეებს, ისმენდენ მათ პასუხს და ძლიერ კმაყოფილნი დარჩენ მოწაფეების ცოდნით. განსაკუთრებით მოეწონათ მოწაფეების გალობა. ამ სასწავლებელში ქართულ საეკლესიო გალობას ასწავლის მამა რაჟდენ თომას ძე ხუნდაძე და რუსულს—ბ. კორნელი ლ. მაღრაძე, რომელთაც საპატიო სტუმრებმა დიდი მადლობა გამოუცხადეს. სასწავლებელში სწავლის გათავების შემდეგ ბ. საბლერმა და გავრილოვმა დაათვალიერეს მოწაფეთა ზოგიერთი ბინები, ნახეს მათი სასმელ-საჭმელი, სამეცადინო და საწოლი ოთახები.

***

ქუთაისში სემინარიის გახსნის ამბავი სწრაფად გავრცელდა მთელს დასავლეთ საქართველოში. ძვირად შეხვდებით კაცს, რომ ამ სემინარიაზე არ დაგიწყოს ბაასი. ქალაქი ქუთაისი მზად არის უფასოდ დაუთმოს სასულიერო წოდებას ალაგი სემინარიის შენობისა და ეზოსათვის.

***

19 მარტს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში უეცრად გარდაიცვალა ამ სასწავლებლის სჯულის მასწავლებელი დეკ. მ. გიორგი მაჭავარიანი. განსვენებულმა ამ დღეს მისცა სამი გაკვეთილი და არავითარ ავადმყოფობას არა გრძნობდა; მესამე გაკვეთილის შემდეგ თავის ამხანაგებში იჯდა და მუსაიფობდა, უეცრად ცუდად იგრძნო თავი. ერთი კი სთქვა განსვენებულმა: «ხელი მომკიდეთ, სისხლი გამართვით»-ო და კიდეც განუტევა სული.

***

ჩვენ შევიტყეთ, რომ ბ. უწ. სინოდის ობერ-სეკრეტარის ალ. ვასილის ძის მოხსენების წყალობით და სემინარიის სამმართველოს შუამდგომლობით თბილისის სემინარიიდამ გამორიცხული შეგირდების რიცხვი შემცირებულ იქნება...

***

დავით ადმაშენებელის ძეგლის დასადგმელად და სამღოცველოს განსასხლებლად და წმ. მოწამეთა დავით და კონსტანტინეს კუბოს მოსაბოვებელად ჩვენ მიგიღეთ 290 მ. სხვა და სხვა შემწირველთაგან. ამ ფულებისა იყო 2514 მ. 57 კ. ამიანათ შესდგა 2804 მ. 57 კ.

***

ხმები ისმის, რომ ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში საღმრთო სჯულის მასწავლებლის ადგილზე გადადის ქუთაისის საკათედრო ტაძრის დეკ. მ. გაბრიელ ცაგარეიშვილი, ხოლო ამ უკანასკნელის ადგილზე ინიშნება თბილისის დიდუბის ეკლესიის წინამძღვარი მ. კალისტრატე ცინცაძე.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-ზნეობაზე.

მირქმა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

ორს თებერვალს მართლ-მადიდებელი ეკკლესია დღესასწაულობს უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მირქმასა ანუ მიგებებასა. ამ შემთხვევის შესახებ მახარებელი ლუკა თავის სახარებაში მოგვითხრობს შემდეგს:

როდესაც იესო ქრისტეს შეუსრულდა დაბადებიდგან ორმოცი დღე, მისმა მშობლებმა იოსებმა და მარიამმა მიიყვანეს ყრმა ტაძარში წარსადგენელად წინაშე უფლისა, რადგან ყრმა იგი იყო პირმშო. მოსეს სჯულისამებრ თვითოეულ დედას თავისი პირმშო შვილი მეორმოცე დღეზე უსათუოდ უნდა მიეყვანა ტაძარში და შეეწირა ღვთისათვის მსხვერპლი, მდიდარს უნდა მიეტანა მდიდარი შესაწირავი, ხოლო ღარიბს—მტრედის ორი ბღარტი. ამ დროს იერუსალიმში სცხოვრებდა ერთი ღვთის მოშიში მოხუცი სვიმეონი. სვიმეონს სულის წმიდისაგან ჰქონდა აღთქმული, რომ იგი არ მოკვდებოდა, სანამ თავის თვალით არ იხილავდა მაცხოვარსა სოფლისასა, იესო ქრისტეს. ერთ დროს მოხუცი სვიმეონი სულის წმიდის შთაგონებით მივიდა ტაძარში, სადაც დაინახა ერთი ქალი, რომელსაც ხელთ ეპყრა ყრმა. სვიმეონმა ღვთის შთაგონებით გაიგო, თუ ვინ იყო ყრმა იგი; მოხუცმა აიყვანა ყრმა ხელში, აკურთხა ღმერთი და სთქვა: **აწ განუტევე მონა შენი, მეუფეო, სიტყვისაებრ შენისა მშვიდობით; რამეთუ იხილეს თუალთა ჩემთა მაცხოვარებაი შენი, რომელ განუმზადე წინაშე პირსა ყოველთა ერთასა, ნათელი გამოსაჩინებელად წარმართთა ზედა და დიდებად ერისა შენისა ისრაილისა.** ე. ი., მე ეხლა შემიძლია მშვიდობით განვისვენო, რადგან ჩემის თვალით ვიხილე მაცხოვარი ქვეყნისა, —იგი არის მაცხოვარი ყოველისა ერისა,—იგი არის ნათელი, რომელიც განანათლებს წარმართთა,—იგი არის იმედი ისრაილის ერისა. იოსები და მარიამი გააკვირვა სვიმეონის სიტყვებმა. მოხუცმა სვიმეონმა აკურთხა და დალოცა მშობელნი, შემდეგ ყრმა მისცა დედას და რქვა: **აჰა ესერა ჰსდევს დასაცემლად და აღდგინებად მრავალთა მორის და სასწაულად სიტყვისა საგებელად**, ე. ი.: ზოგნი ამ ყრმის წყალობით ცხონდებიან, ხოლო ზოგნი არა,—ვინც იწამებს ყრმას, ის ცხონდება, ხოლო რომელიც არ იწამებს, იგი თავის ურწმუნოებისათვის წარწყმდების,—და ბევრი სჯა იქმნება ხალხთა შორის ამ ყრმის შესახებ. მერმე სვიმეონი მიუბრუნდა თვით დედას და რქვა მას: **და თვით შენსა სულსა განვლოს მახვილი**, ესე იგი: შენ ერთ დროს ამ ყრმისა გამო გამოსცდი ისეთ მწუხარებას, რომ ვითომ ხმლით გაგეგმიროსთ შენი გული,—და მაშინ გამოსჩნდებიან მრავალთა გულის ზრახვანი და ამ ზრახვისა და წვალების შემდეგ, რომელსაც დაითმენს ყრმა, ყველასათვის ცხადი იქნება, თუ ვინ არის მისი მოყვარე და ვინ მტერი. ღვთისმოშიში მოხუცებულის სვიმეონის გარდა ყრმა იესო იხილა ტაძარში ერთმა კეთილმსახურმა მოხუცებულმა ქალმა ანნამ. მოციქული ამ მოხუცებულ ქალს უწოდებს წინასწარმეტყველად. ანნა ამ 84 წლისა იყო შობიდგან. იგი სცხოვრებდა ქმართან 7 წელიწადი და შემდეგ ქმრის სიკვდილისა იგი აღარ გაჰყოლია მეორე ქმარსა, არამედ სცხოვრებდა ტაძარში, მარხულობდა და დღე და ღამე ევედრებოდა ღმერთსა. ანნასაც შეტყობილი ჰქონდა, თუ ვინ იყო ყრმა იგი. მოხუცი ანნა ადიდებდა ღმერთსა და ახარებდა მაცხოვრის მოსვლას ყველას, ვინც კი მოელოდა მას. მსხვერპლის შეწირვის შემდეგ იოსები და მარიამი ყრმით დაბრუნდენ გალილიაში, ქალაქ ნაზარეთში. მშობლების სახლში **ყრმა იესო აღორძინდებოდა და განმტკიცდებოდა სულითა და აღივსებოდა სიბრძნითა და მადლი ღვთისა იყო მას ზედა.**

ეს სახარების მოთხრობა შეიცავს ბევრს ზნეობითი სწავლას! ზნეობითი სწავლის პირველ მაგალითს გვაძლევს ჩვენ ყრმა იესო. განა თავის სიყმაწვილეშივე გვასწავლებს ჩვენ ქრისტე? დიახ, გვასწავლის და გვასწავლის თვით უმთავრესს—ღვთისგან მოცემული სჯულის აღსრულებას. რატომ მიიყვანეს იესო ტაძარში მეორმოცე დღეს? ამას მოგვითხრობდა თვით სჯული, რომელიც ღმერთმა მისცა ებრაელებს მოსეს ხელით. **ვითარცა წერილ არს სჯულსა უფლისასა**, მოგვითხრობს მახარებელი, **რამეთუ ყოველმან წულმან, რომელმან განაღოს საშოი, წმიდა უფლისა ეწოდოს.**

სჯულის მდებელი, რომელმაც მისცა ხალხს სჯული, თვით ასრულებს ამ სჯულს სინამდვილით. თვით ღმერთი ასრულებს სჯულს, რომელიც მისცა ხალხს. ამის შემდეგ განა ჩვენ შეგვიძლია, რომ უარი ვსთქვათ ღვთის სჯულის რომელიმე მოთხოვნილების აღსრულებაზე? რითი გავიმართლებთ ჩვენ თავს, რომ ტაძარში ძალიან ძვირად დავდივართ და როცა მივალთ, მაშინაც რაღაცა უგულოთ ვდგავართ ეკკლესიაში? ვინ მოგვცა ჩვენ უფლება, რომ გავითავისუფლოთ ჩვენი თავი კვირა და უქმ დღეებში ეკკლესიაში სიარულისაგან? ჩვენ სარწმუნოების ზოგიერთ მოთხოვნილების შესრულებას არაფრად ვაგდებთ და ჩვენი ცხოვნების უფროსი, იესო ქრისტე კი მტკიცედ ასრულებს სჯულის ყოველ გვარ მოთხოვნილებას! ბეთლემიდამ 15 ვერსი უნდა გაევლოთ მარიამს და იოსებს იერუსალიმამდის, და თუმც ასეთი შორი გზა იყო, მაგრამ იმათ სიხარულით მიჰყავთ ძე. თუ შესაძლებელი იყო ამ სჯულის შეუსრულებლობა, თუ არასფერს ნიშნავდა მისი აღუსრულებლობა, განა იესოს არ შეეძლო ჩაეგონებია თავის ყოვლად წმიდა დედისათვის, რომ არ აღესრულებია ეს სჯული? მაგრამ დედა მიდის, მაშასადამე ასე ნებავდა თვით ყრმა იესო ქრისტეს. განა ამის შემდეგ შეგვიძლია ჩვენ, რომელნიც ხშირად რამდენიმე ნაბიჯზე ვართ დაშორებულნი ეკკლესიებზე, რომ სხვა და სხვა მიზეზებით გავიმართლოთ თავი ეკკლესიებში მიუსვლელობაზე? არასფრით არ შეგვიძლია ამ შემთხვევაში თავი გავიმართლოთ. თუ არ დავდივართ, ამის ერთი მიზეზი არის ჩვენი გულგრილობა სარწმუნოებისადმი და არა პატივისცემა წმ. ეკკლესიის დადგენილობათადმი, ჩვენი სიზარმაცე და გულგრილობა ღვთის სიყვარულისადმი. როცა არა გვაქვს ღვთის სიყვარული, მაშინ არც ლოცვა გვინდა და არც ტაძარში სიარული.

ეხლა შევხედოთ ყოვლად წმიდა ღვთის-მშობელს და იოსებს. როგორი მონდომილებით მიდიან ისინი ბეთლემიდამ და მიჰყავთ ყრმა იესო იერუსალიმის ტაძარში! რა უნდათ მათ იერუსალიმში? მათ სურთ სინამდვილით შეასრულონ ღვთისაგან მოცემული სჯული,—უნდათ იესო, როგორც პირმშო შვილი, წარადგინონ ღვთის წინაშე და არა, შურსთ ღმერთს მსხვერპლად შესწირონ ორი მტრედი, რომელიც დაწესებული იყო ამ შემთხვევისათვის. იმათ იმედი ჰქონდათ და დარწმუნებულიც იყვნენ, რომ ყოველივე ამით ისინი გამოითხოვდენ ღვთისგან კურთხევას ყრმა იესოსათვის. და მართლა, საიდგან ვღებულობთ ჩვენ ღვთის კურთხევას როგორც ჩვენთვის, ისე ჩვენი შვილებისათვის, თუ არა ტაძრებიდგან? ტაძარში უფრო ახლო არის ღმერთი. ტაძარში უფალი განსაკუთრებით უფრო უხვად აძლევს ყველას თავის მადლსა. ამიტომ აქ უნდა მოდიოდნენ მშობელნი, რათა მიიღონ მადლი თავიანთი შვილებისათვის. ტაძარში უნდა ევედრებოდენ მშობელნი ღმერთსა, რათა მათი შვილები იქმნენ ბედნიერნი და დღე-კეთილნი, რომ იგინი ცხონდენ, ტაძარშივე უნდა შევევედროთ ღმერთსა, რომ ჩვენმა შვილებმა კარგად ისწავლონ. იყვნენ კარგი ყოფაქცევისა და მორჩილნი და რათა ისწავლონ მათ შიში ღვთისა, სარწმუნოება და კეთილ ცხოვრება. დღეს ბევრი თავის შვილებს უჩივა და არ ელის მათგან არავითარიმე სარგებლობას. შეიძლება შვილები ასეთები გამოვიდნენ, რადგან მშობლები ძვირად ევედრებოდენ ღმერთსა, როცა მათი შვილები პატარები იყვნენ, არც თავათ იცოდენ ღმერთი და არც შვილებს ასწავლიდენ. დღესაც თავათ ძლიერ ძვირად დადიან ტაძრებში და, როცა დადიან, მაშინაც უგულოდ სდგანან შიგა. ყველამ უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენი შვილები გარეშე ღვთისა არას დროს ბედნიერნი არ იქმნებიან, რადგან ჩვენი შვილების აღზრდაში ჩვენ არ გვეყოლება შემწე. როგორც მიწა უწვიმოდ არ იძლევა ნაყოფს, ისრე ის ბავშვები, რომელთათვისაც ღვთისაგან არ გამოუთხოვიათ ლოცვა-კურთხევა, გაახარებენ თავიანთ მშობლებს. ამიტომ უნდა ზრუნავდენ მშობლები, რომ ილოცონ თავიანთ შვილებისათვის იმ დროს, როცა ბავშვების გული და აზრი წმინდა არის ყოველივე ბიწიერებისა და ცუდ ჩვეულებათაგან. როცა ბავშვებს შეუძლიათ შეითვისონ ყოველივე კარგი და წმინდა. მიუცილებლად საჭიროა, რომ მშობლებიც ლოცვილობდენ მუდამ და თავიანთი პატარა შვილებიც დაჰყავდეთ ტაძრებში სალოცავად. პატარაობიდგანვე უნდა მივაჩვიოთ ჩვენი შვილები ლოცვას და ტაძარში სიარულს, თუ გვსურს, რომ დიდობაზე ისინი შეიქმნენ ცხოველი ტაძარი ღვთისა. ზოგიერთები ლაპარაკობენ: პატარა ბავშვებმა რა უნდა გააკეთონ ტაძარში და ან რა უნდა გაიგონ ღვთის-მსახურებისა? მართალია, ღვთის-მსახურებისას კი ვერას გაიგებენ ისინი, მაგრამ მათი გულისა და სულისათვის ტაძარში ისე სიარულსაც დიდი მნიშვნელობა ექმნება. პატარა ბავშვს იამება ხოლმე, როცა ცივი ოთახიდგან თბილ

ოთახში გაიყვანენ, თუმცა მასს არ გაეგება სიცოცხლის და სითბოს მიზეზები. აგრეთვე ბავშვები ღვთის-მსახურებისას ბევრს ვერას გაიგებენ, მაგრამ მათ ყოველთვის სასიამოვნოდ რჩებათ ტაძარში სიარული. ზოგნი ამბობენ: «ბავშვები მთელი კვირა სწავლობენ და კვირა-უქმ დღეებში უნდა დაისვენონ". ის მშობლები, რომელნიც ასრე ფიქრობენ, ძალიან შემცდარნი არიან. ისინი მარტო ფიქრობენ თავიანთი შვილების სხეულზე და უსაჭიროესი კი აივიწყდებათ. თუ ჩვენ ვფიქრობთ სხეულის მოსვენებაზე, მით უმეტეს უნდა ვზრუნავდეთ სულისათვის. ჩვენ ყოველთვის ვალდებულნი ვართ მადლობა შევსწიროთ ღმერთსა, რომელიც ეწევა ჩვენს შვილებს სწავლაში, და რომელიც აძლევს მათ ჭკუას და გონებას სწავლის შეძენისათვის. ზოგიერთი მშობლები ამბობენ: «ცოდვა არის პატარა ბავშვების გამოღვიძება დილით და იმათი ტაძრებში წაყვანა». უკეთესია მშობლებმა დაზოგონ და შეიცოდონ თავიანთი შვილები სხვა რამეში და არა ისეთ საქმეებში, რომელნიც შეეხებიან ყმაწვილების სულს, ღმერთს და საუკუნო ნეტარებასა. თორემ ამისთანა შეცოდება საზარალო და მავნებელი იქნება ბავშვებისათვის მათ მომავალს ცხოვრებაში. ვერავითარიმე სარგებლობას და კმაყოფილებას ვერ გამოვიტანთ ჩვენ იქიდგან, რაც მავნებელია სულისათვის.

ეხლა დავანებოთ თავი მშობლებს და ბავშვებს. საჭიროა აგრეთვე, რომ ამ დღესასწაულისაგან სხვათაც მიიღონ ზნეობითი სწავლა. გარდა ყრმა იესოსა, ღვთის-მშობლისა და იოსებისა ამ დღესასწაულში მონაწილეობას იღებს ორი პირი: სვიმეონი და ანნა. რა მაგალითს აძლევენ ეს ორი პირი მათ, რომელნიც ისეთივე ხანში არიან შესულნი, როგორც თვით სვიმეონი და ანნა? შეხედეთ სვიმონს: რითი სცხოვრობს ის? რაა მისი ნუგეში და იმედი? რაისათვის სცხოვრობს ის ასრე დიდხანს? მოხუცი მოელის, რათა თვალით იხილოს მაცხოვარი ქვეყნისა, შეჰხვარის მის მოსვლას და მუდამ იმაზე ფიქრობს, რომ ღირსეულად მოემზადოს მაცხოვრის მისაღებად. მოხუცს სვიმეონს ბოლოს აუსრულდა თავის გულის ნატვრა: ეღირსა მაცხოვრის ხილვას, აღიყვანა ყრმა იესო ხელში და წარმოსთქვა: **აწ განმიტევე მონა შენი, მეუფეო, მშვიდობით.** იხილა მაცხოვარი და ევედრება ღმერთსა, რომ მან განუტევოს ის ამა ქვეყნიდგან, რადგან საჭიროდ არა სთვლის ქვეყნიურ ცხოვრებას. სვიმეონის ცხოვრება და მოქმედება დიდი მაგალითია მათთვის, რომელთაც განელვს თითქმის უმეტესი დღენი თავისი ცხოვრებისა. ამისთანა პირები მუდამ ღმერთზე უნდა ფიქრობდენ, იელტოდნენ ღვთისადმი და მხოლოდ ღვთის იმედი უნდა ჰქონდესთ. ხოლოდ ღვთის სასიამოვნო საქმეების აღსრულებაში უნდა პოულობდენ განსვენებას და სიხარულს. მოხუცებულნი უმეტესად უნდა ზრუნავდენ, რომ უკეთესად მოემზადონ მომავალი საუკუნო ცხოვრებისათვის, რომ ღირსეულად შეეგებნენ უფალსა, რომელიც მოვალს განსჯად ცოცხალთა და მკვდართა. მოხუცებულნი სვიმეონის და ანნას მსგავსად მუდამ ტაძარში უნდა დაიარებოდნენ და აღიდგებდენ ღმერთსა. უნდა ცდილობდენ, რომ რაც შეიძლება ხშირად მიიღონ ხოლმე წმიდა ხორცი და სისხლი ქრისტესი საიდუმლო ზიარებაში. ბედნიერნი იქმნებიან ის მოხუცებულნი, რომელნიც მუდამ ღმერთზე და ღვთის სათნო საქმეებზე ზრუნავენ. ამისთანა მოხუცებულთ ღმერთი სიცოცხლეშივე გამოეცხადება, ხოლო ზეცაში ისინი იხილვენ ღმერთს დიდებით, რომელიც მუდამ მათთან იქმნება. თვითეული ჩვენგანი მოხუცებულობაში უფრო უნდა ფიქრობდეს ღმერთზე და ღვთის სათნო საქმეებზე. მაგრამ ზოგიერთნი მოხუცებულობაშიაც ისე ცოტას ფიქრობენ ღმერთზე, როგორც ახალგაზდობაში. ზოგიერთნი მოხუცებულობაშიაც ისეთივე წინდაუხედველობით იქცევიან, როგორც ახალგაზდობაში. სიცოცხლე ილევა, ხეული უძლურდება, მაგრამ ზოგიერთ მოხუცებულებს ახალგაზდობის ცუდი ყოფაქცევა და ჩვეულებანი მთლად შეახორცდებათ, სრულებით არ ფიქრობენ, რომ განიწმიდონ ცოდვებისაგან, არ ლოცვილობენ და არც ტაძრებში დაიარებიან ღვთის სადიდებლად. თვითონ დარწმუნებულნი არიან, რომ დღეს თუ ხვალ განუტევებენ სულსა, გონება უჭლუნგდებათ, მაგრამ მათი გული კიდევ ამაო წუთისოფლის სიამოვნებისადმი მიესწრაფება. ამისთანა მოხუცებულნი ვერ ეღირსებიან ღვთის ხილვას მსგავსად სვიმეონისა და ანნასა. რომ კიდეც იხილონ მათ ღმერთი, რა თვალით უნდა შეხედონ მასს, რომელსაც მთელს მათ სიცოცხლეში აჯავრებდენ თავიანთი ცუდი ყოფაქცევით, ერიდებოდენ და რომელთაც ღმერთზე და ღვთის სათნო საქმეებზე ფიქრი არ ახარებდა და არ ატკბობდა. ვინც ამ სიცოცხლეში არ ფიქრობდა ღმერთზე, იმ ქვეყანაში როგორღა იქმნება ღმერთი



მისი მანუგეშებელი? ამისთანა მოხუცებულთ მოელის ღვთის სასჯელი, რადგან მათ ბოროტად იხმარეს თავიანთი გრძელ-ჟამიერი სიცოცხლე და არ ისარგებლეს მათ თავის სულისათვის და ღირსეულად არ შეიყვარეს უფალი. როცა ახალგაზრდები ვართ, მაშინ ვფიქრობთ, მოხუცებულობაში ვიზრუნებთ ღმერთზე და ღვთის სათნო საქმეებზე. მაგრამ უნდა ვეცადოთ, რომ არ მოვსტყუვდეთ. უნდა ვიცოდეთ, რომ მოხუცებულობაში მკიან იმას, რაც ახალგაზრდობაში დასთესეს. ცხადია, რომ ისინი, რომელთაც ახალგაზრდობაში ცოდვილად გაატარეს დრო და სრულებით არ ზრუნავდენ ღმერთზე, მოხუცებულობაშიაც იგეთივე რჩებიან. რა საჭიროა მოხუცებულობის ცდა? რა ვიცით, რომ უსათუოდ მივაღწევთ მოხუცებულობამდის? უკეთესია, როცა ახალგაზრდობაშივე მივეჩვევით ლოცვას, ღვთის დიდებას და ტაძარში სიარულს, რომ მოხუცებულობის დროს ჩვენი ცხოვრება ისრეთივე სასიამოვნო იქმნეს ღვთისათვის, როგორც სვიმეონისა და ანნასი. ანნამ პატარაობიდგანვე შესწირა თავისი თავი ღვთის სამსახურს; ის მუდამ ტაძარში სცხოვრებდა, მარხულობდა და მუდამ ღვთის ვედრებაში ატარებდა დროს.

საეჭვო კითხვების განმარტება.

მამაო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ, რომ თქვენის გაზეთის «მწყემსი»-ს საშუალებით განმარტოთ ერთი კითხვა— სახელდობ, შეიძლება დიდ-მარხვის კვირა დღეებში აზიარონ მღვდელმა ხალხი იმ შემთხვევაში ნამეტნავად, თუ ორი სოფლის ხალხი ერთს და იგივე კვირას შემზადდენ, ერთი სოფელი შაბათს აზიარონ მღვდელმა და მეორე სოფლისა კვირას, თავ-თავის სოფლის ეკკლესიაში? ან თუ არა და ერთსავე სოფელში და ეკკლესიაში სიმრავლის გამო შაბათს დღეს რომ ვერ მოასწროს მღვდელმა ზიარება, კვირას შეუძლიან აზიაროს მომზა-

დებული სალხი თუ არა? ჩემი აზრით შეიძლება დიდ-მარხვის კვირა დღეს აზიარონს მღვდელმა ხალხი წირვა-ზე, როგორც შაბათს დღეს. რადგანაც ზოგი წინა-აღმდეგია ჩემი აზრისა, სიმართლის აღსადგენად უმორ-ჩილესად გთხოვთ შრომა მიიღოთ და მოკლეთ გან-გვიმარტოთ ეს კითხვა.

მღვ. ი. დ—ვი.

ეს კითხვა რიგიანად არ არის დაყენებული. როგორ მოხერხდება, რომ ერთმა და იგივე კრებულმა ერთსა და იმავე კვირაში ორ სოფელში მოამზადოს ხალხი საზიარებლად? მღვდელი ან ერთ აღგილას უნდა იყოს მლოცველი და ან მეორე ადგილას. თუ მეორე სოფელში სხვა მღვდელი ამზადებდა მრევლს, მასვე შეუძლია შაბათს აზიაროს ისინი. მართალია, ჩვენში ზოგიერთი მღვდლები მედავითნეს მიუჩენენ მრევლს მოსამზადებლად სხვა სოფელში, ზედ-მიწერილ ეკკლესიაზედ, მაგრამ განა მედავითნეს შეუძლია ხალხის მომზადება საზიარებლად? ერთ უწესოებას სხვა მრავალი უწესოება მოსდევს ხოლმე და მართლაც დიდი უსიამოვნება მიადგება ხოლმე მღვდელს ამისთანა შემთხვევაში. ამის ასაცილებლად საჭიროა მღვდელმა ერთ კვირაში ერთგან მოამზადოს ხალხი და მეორე კვირაში მეორე სოფელში.

მეორე მუხლი კითხვისა არ არის საფუძვლიანი. ჩვენში არც მრევლია იმდენი, რომ ორი ათასი სული შეემზადოს საზიარებლად და არც ეკკლესია დაიტევს იმდენ ხალხს, რომ მღვდელმა შაბათს ვერ მოასწროს ყველას ზიარება. რა საჭიროება არის, რომ მეორე დღეს გადაიდვას ზიარება?

რაიცა შეეხება იმ კითხვას: «კვირას შეიძლება თუ არა ზიარება»-ო, ამაზე ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ არა თუ კვირას, სიწმინდის განახლების წირვა-ზედაც შეიძლება ზიარება მომზადებულთა, რომელ დღესაც უნდა იყოს ეს.

რედაქტორი.

სასელმძღვანელო, საყურადღებო, საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება.

დარიგება მეფუტკრეობის დაწყებისათვის

(გაგრძელება *)

ბუნებითი ენა.

ბუნებითი ნაყრები უნდა ჩასვათ სკაში ისე, როგორც დაიჭირეთ. ეს შეეხება, რასაკვირველია, ლონიერ ნაყრებს, თორემ სუსტები, მაგალ., მეორე და მესამე პირი, ხშირად ერთად უნდა შეერთდენ. შეერთება სჯობს მოსაყარ ჭურჭელშივე და მერმე სკაში ერთად ჩაისმის. ცხადია, რომ ნაყრის ჩასმა აჯობებს ცოტად მაინც ფიჭიან სკაში. ამასთან საჭიროა სახეში ვიქონიოთ, რომ შეერთებულ ნაყრებს უფრო ვრცელი ბინა ექმნესთ, რამოდენიმე თაეადაუკერავი თაფლით და თუ შესაძლოა, ბარტყებიანი ფიჭის ნაყრით, რომელიც შეიძლება ჩაეკრას სხვა ფიჭაში, რადგანაც ამგვარი ნაყრები ხშირად ჰკარგვენ დედოს. უკანასკნელ შემთხვევაში ნაყარი გაიქცევა, თუ არ იქნა კვერცხები, ანუ თაეადაუხურავი ბარტყი, რომელსაც ფუტკრები აროდეს არ მოსცილდებიან და რომლიდამაც დედოსაც ადვილად გამოიყვანენ. მაგრამ ჩასმა ლონიერი პირველი პირის ნაყრისა მზა ბუდეში, როგორც გამოცდილება გვარიგებს, არ არის სასარგებლო, რადგანაც ის მალე მრავლდება და, ადვილი შესაძლებელია, იქიდამაც იყაროს. ამისთანა შემთხვევა საზარალოა, რადგანაც არც ნაყარი ივარგებს და სკაც დასუსტდება. უმჯობესია მათ მიეცეს მხოლოდ დასაწყისი შენობისა და დანარჩენი თვითონ გააკეთონ.

ხეზედ მიხვეული ნაყარი უნდა მოყაროთ ჯერეთ სანაყრეში. სანაყრეს მიადგამთ ძირიდგან მიხვეულ გუნდს და მერმე ლონივრად დაჰკრავთ (დაანძრევთ) ტოტს, რომელზედაც ზის ფუტკარი,—მთელი გუნდი შიგ ჩასცვივდება. პირველად აიშლებიან, მაგ-

*) იხ. «მწყემსი»-ს № 4, 1894 წ.

რამ მალე შეელენ ისევ შიგ და დამშვიდდებიან. თუ მოხერხებულ ადგილზეა ნაყარი, შეიძლება პირდაპირ სკაშიც ჩაჰყაროთ და მერმე, სადაც გსურსთ, იქ დასდგათ. როდესაც ნაყარი ისე მოუხერხებელ ალაგას დასჯდება, რომ სანაყრეში ერთბაშად ჩაყრა არ შეიძლება, მაშინ სანაყრეში ჩაჰყრიან კოვზით რამდენიმეს და იქვე დაჰკიდებენ; დანარჩენიც მალე შიგ შევა, მხოლოდ ცოტა კომლი უნდა უხრჩოლოთ, აავფრინოთ სილით, ანუ ფხვიერი მიწით. უმჯობესია მოიქცეთ ასე: ფოთლებიანი ტოტი, თუ ბალახი ასხურეთ თხელი თაფლით და ჩამოჰკიდეთ ნაყარის ახლოს. ნაყარი ზედ ჩამოეკიდება და შემდეგ ადვილად აიყვანთ.

როდესაც შევასრულეთ ძნელი საქმე—დავიჭირეთ ნაყარი, მერმე მისი სკაში ჩასმა ადვილია. სკას, რომელშიაც ფუტკარი უნდა ჩაესვათ, მოეხსნით ზურგის კარს და მივაფენთხთ იმაზე ნაყარს სანაყრედამ. შეიძლება ასეც: სკის წინ საფრენ თვალთან გაფინეთ ტილო, ანუ თუ სხვა რამე და იმაზე დაჰყარეთ ფუტკარი, რომელიც თავისით ნელ-ნელა შევა საფრენ თვალში. ჩარჩოების სიმრავლე სკაში დამოკიდებულია ნაყრის სიდიდეზე, მაგალ., ორ გირვანქა ნახევარზე მეტი თუ არ არის ნაყარი, ჩარჩოთხზე, ანუ ხუთზე მეტი არ ვარგა და თუ მეტია, შვიდი და რვაც ჩაიდგმის.

ძალიან სასარგებლოა სუსტი ნაყრის დროს მოიქცეთ ასე: ნაყარს, რომელსაც ცარიელ სკაში ჩაჰყრით, დასდგამთ ძველის ადგილზე, საიდამაც იყარა. ძველს კი რომელიმე ღონიერი სკის (რომელიც ნაყრის გაშვებას არ აპირებს) ალაგას დასდგამთ, უკანასკნელს ახალ ადგილს გადაიტანთ. სუსტი ნაყარი გაღონიერდება მუშაობიდამ დაბრუნებული ფუტკრით, ნაყრის გამშვები მიიღებს სხვა სკის მუშა ფუტკარს, უკანასკნელი კი, თუმცა რამოდენიმე დღეს მუშაობას შესწყვეტს, მაგრამ მალე გაღონიერდება, თუ სკაში წყალს მისცემთ ჭურჭლით.

რამოდენიმე დღის შემდეგ სკას ნახავთ. თუ იატაკზე სანთლის ქერწლი იქმნეს დაბნეული, მიხვდით, რომ სკაში სიცივეა, ერთი თუ ორი ჩარჩო უნდა ამოაკლოთ და სკა დაჭმანოთ, ნაბზრები აულესოთ.

ხელოვნური ნაყარი

ხელოვნური ყრა ფუტკრისა ძალიან გამოსადეგი და საყურადღებო საქმეა მეფუტკრისათვის; მაგრამ ამას უნდა კარგი ცოდნა ფუტკრის ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულებისა, თორემ უმისოდ ბევრს ვერას ისარგებლებთ და ბევრსაც იზარალებთ. ხელოვნური ნაყრებისათვის არ დაგვჭირდება ხეებზე პოტინი, როგორც გვჭირდება ხშირად ბუნებითი ნაყრების დასაჭერად. ამასთან ხელოვნური ნაყრები სკას არა სტოვებენ. ხელოვნური ნაყრები შეგვიძლია გავათაოთ უმთავრეს საშოვრობის დრომდე. არ გვესაჭიროება ყარაულობა, რომ ნაყრები არ დაგვეკარგოს.

თუ ოჯახი ფუტკრისა ღონიერია, ყოველთვის შეგვიძლია გავყოთ. კარგია გასაყოფად ის ოჯახი, რომელშიაც ბუდეს ქვეშ მრავალი ფუტკარი ჰკიდია გუნდათ და აქვს მონავრის დაბეჭდილი ბარტყი.

ხელოვნური ნაყრის კეთება ბევრნაირია, მაგრამ აქ ჩვენ ავსწერთ, რომელიც უფრო საუკეთესო და სასარგებლოა.

ახალშენი ფუტკრის გადასახლება

ახალშენი ფუტკარი ე. ი. ჯერ გარედ გამოუსვლელი და ტყე-მინდვრებში უმუშევარი, ბარტყით და კვერცხით გადასახლდება ამნაირად: წინ და წინ დაიჭერენ დედოს და ჩასმენ გალიაში, რომელსაც გამოსავალ პირს აუგლესენ სანთლის თხელი ფურცლით, მხოლოდ დაუტოვებენ პატარა ჯურჯუტანას. ამგვარად დატყვევებულ დედოს ჩააჯენენ (ჩააკვრენ) მომზადებულ ცარიელ სკის სათავეში ორ ცარიელ ფიჭის შუა. იქვე ჩაეკვრის ბარტყებიან ფიჭის ნაჭერი. შემდეგ ამისა ეს დედოიანი ცარიელი სკა უნდა დასდგათ იმ სკის ადგილას, საიდანაც დედო გამოიყვანეთ, უკანასკნელი კი სხვა ღონიერ სკის ადგილას, თვითონ ეს უკანასკნელი დაიდგმის ახალ ადგილს. ძველი ფუტკრები (რომელნიც გარეთ მუშაობენ), წავლენ თავის ბინაზედ, სადაც ეხლა მარტო მათი დედოა ცარიელ სკაში, გაანთავისუფლებენ (გამოსჭრიან) მას გალიიდგან და შეუდგებიან ახალი ბუდის კეთებას; დაობლებული სკა გამოიყვანს ახალ დედოებს და რადგანაც მან მრავალი მუშა ფუტკარი მიიღო სხვა ღონიერი სკიდგან, ადვილი შესაძლებელია, გამოუშვებს მეხუთმეტე ანუ მეთექვსმეტე დღეს

ბუნებით ღონიერ ნაყარს (ეს იქმნება მეორე პირი). მესამე სკას კი, რომლის ადგილას ეს დაიდგა, უნდა მისცეთ რამოდენიმე დღეს წყალი ჭურჭლით, რადგანაც გარეთ მუშა ფუტკარი ჯერეთ აღარ ეყოლება.

ახალშენის გადასახლება შეიძლება კიდევ თავის დედოიანა, მხოლოდ, მაშინ ძველ სკას უნდა მიეცეთ სხვა დედო (სხვა სკიდამ ანუ განგებ მომზადებული). უკანასკნელ შემთხვევაში დედო სრულიად დამწყვდეული უნდა იყვეს ორ-სამ დღეს და მერმე სანთლით უნდა აუგლისოთ პირი, თორემ თუ მალე გამოიყვანეს გალიიდამ, მოკლენ; ფუტკრები უნდა შეეჩვიონ მას და თითონაც სკის სუნი უნდა მიიღოს. საჭირო არის ამისთანა ნაყრებისათვის, რომ ახალი სკა ძველს წააგავდეს შეხედულობით და საფრენი თვალიც იმ ალაგას ჰქონდეს, თორემ მრავალი გაფრინდებიან სხვა სკებისაკენ და დაიკარგებიან, ან ჩხუბს გამართვენ.

ახალშენის გადასახლება შეიძლება კიდევ მესამე ნაირად. დედოს დაიჭერენ და ჩასმენ ახალ ცარიელ ფიჭებიან სკაში. ძველი სკიდგან ამოიღებენ თითოთითო ჩარჩოს და ყველა მასზე მჯდომარე ფუტკრებს ჩასცოცხვენ (ჩაყრიან) ახალ სკაში, შემდეგ ჩარჩოებს თავისავე ალაგას ჩასდგმენ. როდესაც ახალ სკაში ჩასცოცხვენ ყველა ჩარჩოებიდან ფუტკრებს, უკანასკნელს დასდგმენ ახალს ადგილას, აქ ფუტკრები ხელახალ მოსახლობას შეუდგებიან. ძველ სკაში კი ძველი ფუტკარი დარჩება (ფუტკარს თუ ერთხელ მაინც გარეთ უმუშავია, ის ახალ ალაგას არ გაჩერდება), ბარტყები და კვერცხები, საიდამაც ახალ დედოს გამოიყვანენ და შეუდგებიან ხელახალ მოსახლობას.

შეკრებილი ნაყარი

თუ მეფუტკრეს რამოდენიმე ღონიერი ჩარჩოიანი სკა აქვს, მას შეუძლია ნაყარი გააკეთოს ამნაირად: თვითეულ ღონიერ სკას მოაკლებს თითო ბარტყიანს და კვერცხიან ჩარჩოს. ამას სკები სრულებით არ შეიმჩნევენ, მხოლოდ ჩარჩოებს დედო არ ცაჰყვეს. ამისთანა ჩარჩოებს ექვს ანუ შვიდს ჩასდგმენ ცარიელ სკაში და დასდგმენ ახალს ადგილას. ამისთანა ნაყარს ეყოლება თან გამოყოლილი ახალი ფუტკარი, ბარტყი და კვერცხი, რადგანაც დედო არ ეყოლებათ, ახალს გამოტეხენ. მეხუთმეტე ანუ მეთექვსმეტე დღეს ეს სკა გაუშვებს ერთს ანუ ორ ღონიერ ნაყარს.

ამისთანა შეკრებილი ნაყრები შეიძლება რამდენჯერმე გააკეთოს მეფუტკრემ ერთსა და იმავე სკებიდგან, რადგანაც რამოდენიმე დღის შემდეგ ღონიერი სკებისათვის სრულიად შეუტყობლად შეიძლება ამოაკლდეს კიდევ თითო ჩარჩო და გაკეთდეს ახალი სკები. ოც ჩარჩოიანი სკიდგან, მაგალითად, ერთჯერ გაკეთდება სამი ახალი სკა, რომლებიც ნაყრებს გაუშვებენ და, თუ მეტი არა, ექვსად მაინც გარდაიქცევა. ამნაირად შეკრებილი ნაყრები რომ სამჯერ გაიმეოროთ, გაკეთდება თვრამეტი ხელოვნური ნაყარი, ასე რომ, სკები თითქმის ერთი ორად გარდაიქცევა.

დედოს მიცემა

მიცემა დედოსი ხელოვნური ნაყრობის დროს ხშირად საჭიროა, რომ სკამ, რომელიც უდედო დარჩა, თუ არ გსურსთ, არ გაუშვას მეორე პირი ნაყარი. მიცემა დედოსი საზოგადოდ ასე ხერხდება: მას ჩაჰკეტენ გალიაში ორი-სამი დღით; როდესაც მას ფუტკრების შეეჩვევიან, გაალებენ გალიის კარს და მის მაგივრად სანთლით ალესვენ, მხოლოდ სანთელში დაატანებენ პატარა ჯუჯუტანას; შემდეგ ფუტკრები მას თითონ გამოუჭრიან გამოსასვლელ თვალს. თუ დედო მოსწონთ, ფუტკრები დედოს ძალიან არ მიეხვევიან, ფრთები გაშვერილი ექნებათ, რითაც ისინი სიამოვნებას ხატვენ. მაგრამ თუ არ მოსწონთ, მაშინ გალიას გუნდი მჭიდროდ დაესევა, თითქოს ზედ მიჰკდომიან. უნდა იცოდეთ, რომ ფუტკრები ხანდისხან დედოს სრულებით აღარ მიიღებენ, თუ მისი მიცემა დაგვიანდა და სადედოვები უკვე დაიბეჭდენ. საზოგადოდ ახალი დედო უნდა მისცეთ მესამე ანუ მეოთხე დღეს ძველის წართმევის შემდეგ.

შეცვლა ერთი დედოსი მეორით, მაგალითად, ძველი უჯიშოსი ახლით, შეიძლება ამნაირად: ძველ დედოს დაიჭერენ და ჩაჰკეტენ გალიაში, გალიას ჩაჰკიდებენ იმ ალაგას, სადაც ბევრი ფუტკარი ზის. შემდეგ ერთი დღის ანუ ღამისა მის მაგივრად იმავე დაკეტილ გალიაში ჩასმენ ახალს და ჩასდგმენ იმავე ალაგას; ერთი დღისა და ღამის შემდეგ გალიას კარს უღებენ და ულესვენ სანთლით. როდესაც დედო გამოვიდა, უნდა ნახოთ, მიიღეს თუ არა; თუ არ

მიილეს, იატაკზე იქმნება დავარდნილი ფუტკრების გროვაში.

ხელოვნურ ნაყრებს, რომლებსაც დედა არ გაჰყოლიათ, შეიძლება დედის მაგივრად მისცეთ ეზა, გამოსატეხი სადედოეს ფიჭა, რომ მალე გამოტეხონ ახალი დედა. ამისთანა შემთხვევაში უფრო ძვირად მოხდება მეორე პირი ნაყარი, ვინემ მზა დედის მიცემის დროს.

მზა დედა

მზა დედები შეიძლება იყონ ნაზამთრი, პატარა სკებში შენახული, მაგალითად ორ ან სამ ჩარჩოიან სკაში თავის ფუტკრებითურთ; შეიძლება იმ წლისა, ე. ი. გაზაფხულზე გამოყვანილი. ამისთანა სკებში სდებენ თაფლიანს, ბარტყიანს და ცარიელ ფიჭას; მერმე ჩაყრიან შიგ რამოდენიმე მუჭა ფუტკარს, განსაკუთრებით ახალგაზრდას.

საფრენი თვალი სკისა დაიხურება რკინის ბადით, რომ ჰაერი შეუვიდეს და დასდგმენ სამი ანუ ოთხი დღით ბნელს ადგილას; ამის შემდეგ დადგმენ საფუტკრეზე ღონიერი სკების მოშორებ. როგორც კი გაალებთ საფრენს, ძველი ფუტკრები თავის ბინას მოსძებნიან, ახლები კი დარჩებიან, გამოიყვანენ დედის და დაიწყებენ ოჯახობას. როდესაც გამოტეხილი დედა დაიმამლება და დაიწყებს კვერცხის დებას, მას უკან შეგიძლიათ იხმაროთ, როგორც გინდათ.

როგორ უნდა მოიქცეს მეფუტკრე, რომ, რაც შეიძლება, მეტი თაფლი მიიღოს.

ამ კითხვის ახსნა ადვილად შეუძლია მას, ვინც დაკვირვებით შეისმინა და შეისწავლა ზევით აღწერილი; მაგრამ საჭიროდ ვრაცხთ რამოდენიმე სიტყვით ჩვენვე გამოვხატოთ და განვმარტოთ ამის ახსნა.

გაზაფხულიდგან, რაც უფრო საშოვრობა გაღონიერდება, დედა თანდათან უმატებს კვერცხის დებას და ოჯახიც ღონიერდება; დაიწყება გამოყვანა მინავრებისა და შემდეგ, თუ ოჯახი გაყოფას აპირებს, შეუდგება დედოების გამოყვანასაც. პირველად, მართალია, ნაშოვრობა იხარჯება ბარტყების გამოსაკვებად, მაგრამ მერმე კი, უმთავრესი ნაშოვრობის დროს, თაფლის მომტანი ფუტკრით ღონიერი ოჯახები იწყებენ თაფლის შენახვასაც, მის ჩასხმას იმ ფიჭის თვლებშიაც, რომელნიც თანდათან თავისუფლდებიან ბარტყებისაგან. ბარტყობა ამით თანდათან შემცირდება და ბოლოს შემოდგომისათვის საშოვრობის შესუსტებაც და სითბოს ნაკლულევანებაც სრულებით შეაწყვეტინებს ბარტყობას და ამნაირად ოჯახში დაიწყება მოსვენება.

მაშ, ჯერ ბარტყობა უშლის ხელს თაფლის მოგროვებას და მერმე, თავის მხრით, თაფლის გროვება ასუსტებს ბარტყობას. თაფლი და ბარტყობა ჩხუბობენ ერთი მეორესთან და თუ ბარტყობამ დასძლია, მაშინ თაფლის შენახულობა ნაკლები იქნება, მისთვის რომ ის თითქმის სულ ბარტყობაზე დაიხარჯება, რის გამო შემოდგომისათვის ამისთანა სკებში იქნება მრავალი ფუტკარი და ცოტა თაფლი; თუმცა თაფლის გროვებამ აჯობა ბარტყობას, მაშინ დედა ძალაუნებურად იბარტყებს ნაკლებად და, ამისათვის, შემოდგომის პირზე სკაში იქმნება მრავალი თაფლი და ცოტა შედარებით ფუტკარი, რადგანაც ბევრი ფუტკარი იკარგება მუშაობის დროს, გამრავლება კი ნაკლებია. ცხადია ბევრი თაფლი შეიკრიბება სკაში მაშინ, როდესაც უმთავრესი თაფლიანობის დროს ოჯახი ღონიერია. ოჯახი, რომელიც ღონიერი იყო ზაფხულის დამდეგს (თაფლიანობამდის) და არ უყრია, შემოდგომისათვის თაფლიანი იქმნება და ფუტკარიც საკმაო ეყოლება; თავიდგან სუსტი ოჯახი კი ბარტყობას გაჰყვება და თუმცა შემოდგომისათვის მრავალი ფუტკარი ეყოლება, მაგრამ თაფლი კი ცოტა ექმნება.

ყრასაც (გამრავლებას) აგრეთვე დიდი ზედგავლენა აქვს თაფლის მოგროვებაზე. ნაყრებს თან მიჰყვება მუშის ძალა და ამით, თუმცა რამოდენიმე ხანს თაფლის ზიდვა ნაყრის მომცემ სკაში იკლებს, მაგრამ მაგივრად შესწყდება ბარტყობაც, რადგანაც კვერცხის მდებელი დედა ნაყარს გაჰყვა. მოტანილი თაფლი ამისათვის ცოტა დაიხარჯება. ერთი ნაყრის მომცემი სკა საზოგადოდ თაფლიანია. მაგრამ იმ სკებს, რომლებიც რამოდენიმე ნაყარს გაუშვებენ, შედარებით ცოტა თაფლი აქვსთ. ამასთან უნდა შევნიშნოთ, რომ სანამ იყრიდეს, ოჯახი ზარმაცობს და ცოტას მუშაობს.

ამ სახით, თაფლი მაშინ იქნება მრავალი, როდესაც ფუტკრები მას მეტს მოიტანენ და უბრალოდ დახარჯვენ ნაკლებს. მაშ საჭიროა, რომ სკები უმთავრესი თაფლიანობის დროს იყვნენ ძალიან ღო-

ნიერნი, ნაყრობა კი გათავებული იყოს. გარდა ამისა საჭიროა, რომ არ მოშენდეს ბევრი მონავარი—მუქთამჭამლები და აგრეთვე არ მოშენდეს ბევრი ფუტკარიც.

მონაყრის ნაშენობის შესამცირებლად მეფუტკრემ სკაში არ უნდა დააყენოს მონავრის ფიჭები. მთელი ფიჭები, რასაკვირველია, ამოილება, მაგრამ როდესაც ფუტკრის ფიჭაშია გამორეული მონავრის ფიჭა, მაშინ უკანასკნელი გამოიჭრება და მის მაგივრად ჩაჰკერდება ფუტკრის ხელოვნური ფიჭა. ამაზედ უკეთესი საშუალებაა მოსპობა ძველის, არა ამ წლის, დედოსი სკაში. ძველი დედო სულ ყოველთვის ფუტკრებს სალეროლელს უშლის და ეცლება ნაყრით ძველს სკას; ახალი კი დაბადების წელიწადს ყრაზე არ ფიქრობს და არც მონავრებს აშენებს. ძველი დედოს წართმევის შემდეგ მეათე დღეს ნახევენ სკას და ერთის მეტს სადედოვებს მოსპობენ, თორემ, თუ დედო ერთზე მეტი გამოტყდა, ნაყარი იქმნება და სკას მეტი ზარალი მოუვა.

რომ უმთავრესი საშოვრობის დროს ფუტკრები ღონიერი იყვნენ, მათ სჭირდებათ ხელის შეწყობა. ჩვენ ვიცით, რომ რაც თაფლის ნაშოვრობა მატულობს, ისე მატულობს ბარტყობაც; ამისათვის ჩვენ შეგვიძლია საჭმელის მიცემით სკები გავაღონიეროთ, რა დროსაც გვინდა. შეიძლება ფუტკრებს გაზაფხულისათვის საკმაო ყვავილის ფქვილი არა აქვსთ. იმ შემთხვევაში შეგვიძლია მონავრის ფიჭაში ჩავყაროთ ფქვილი (კარგია სიმინდის და მუხუდოსი) და ჩავკიდოთ სკაში; ამასთანავე უნდა მივსცეთ სკაში თხელი თაფლიც. როდესაც თაფლს წაიღებენ, მაშინ, თუ ფქვილი აკლიათ, იმასაც გადაიტანენ მონავრის ფიჭიდამ ფუტკრის ფიჭებში ფუტკრის ახლოს. ჭმევა ერთნაირად საჭიროა, როგორც სუსტის, ისე ღონიერი სკებისათვის, ამისათვის რომ ფუტკრებს ეგონებათ საშოვრობა დაიწყოვო და ბარტყობას მოუჩქარებენ. თხელი თაფლი კეთდება ერთი მესამედი თაფლის და ორი მესამედი მდუღარე წყლისაგან და მიეცემათ გაციების შემდეგ. საჭმელიან ჭურჭელში ჩხირები უნდა ჩავყაროთ, თორემ ფუტკრები დაიხრჩობიან. ჭმევა ერთად შეგვიძლიათ, გარდა სუსტი სკებისა, გარედ; საღამოს ქამხედ დაუდგამთ საჭმელს ცოტად მოშორებ და ადვილად მიაგნებენ. სუსტებს კი საჭმელი შიგ უნდა შეუდგათ ღამით. თუ სხვისი სკებია ახლოს, მაშინ ყველას შიგნით უნდა აჭამოთ ღამითვე. ჭმევა შეიძლება როდესაც ამინდები გათბება, სიცივეებში საზარალოა.

რ. ჩიხლაძე

რედაქციის პასუხი.

ხონელ მღვდელს. მედავითნის სადავითნო არ შედის კრებულისაგან გასაყოფ შემოსავალში. როდესაც მრევლში მღვდელსა და მედავითნეს ცალ-ცალკე ასაჩუქრებენ, იმ საჩუქრების ერთად შეერთება და გაყოფა არ შეიძლება. ვისაც რა მისცეს, მით უნდა დაკმაყოფილდეს.

ქ ი შ ვ ა რ დ ს. თქვენი სიტყვა არ იბეჭდება.

გ. ხა—შვილს. თქვენი ლექსი არ იბეჭდება.

მთავ. ნ. იქ—ს. გვირგვინაკების ფული არც ეკკლესიისაა. და არც კრებულისა. ეს ფულები სასწავლებელში მიდის ბლაღოჩინებისაგან ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ. ნუ თუ ეს კიდევ საეჭვო არის ვისთვისმე?

ნ. თ. ს—ნიას. თქვენი სტატია არ იბეჭდება.

მღვ. ირ. ბა—ძეს. ახსნილი და განმარტებულია, რომ ყველა საეკკლესიო საბუთების წარმოება მედავითნეების ვალია და თუ მათ თვითონ არ შეუძლიათ ამ საბუთების წარმოება, მაშინ უნდა დაიქირავონ მცოდნე და აკეთებინონ.

წესის აგების შეჩერება არც ასაბიის და არც სხვა მიზეზის გამო არ შეიძლება, მაგრამ ჩვენში საღმრთო მოქმედებაზე უფრო პატივს სცემენ სხვა-და-სხვა ამაო მორწმუნეობას და უგნურ ჩვეულებას და არა თუ წესის აგების სხვა მღვდელ-მოქმედების დროსაც შეაჩერებენ მღვდლებს. ეხლანდელი ნასწავლი მღვდლები მტკიცეთ უნდა დაადგნენ თავიანთ ეკკლესიურ წესს და თვალთმაქცურ ტირილს არ უნდა მიაქციონ ყურადღება.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. *Доз. цензурою. Кутаисъ,* 26 *Марта 1894 г.*
Типографія редакціи (П. Д. Гамбашидзе) Въ Кутаисѣ, помѣщ. въ д. бр.Ханановыхъ на Нѣмецкой ул.